UDC 02
SCOPUS CODE 3304
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-1-376-38

ციფრული საბიბლიოთეკო პლატფორმების როლი საგანმანათლებლო სისტემის მართვის სრულყოფაში

რუსუდან ქუთათელაძე — ტურიზმისა და მარკეტინგის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: r.kutadeladze@gtu.ge

თამარ როსტიაშვილი — ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: t.rostiashvili@gtu.ge

მაია სოსელია — ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: soseliamaia11@gtu.ge

გიორგი კილაძე — საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, საქართველო, 0108, თბილისი, ლ. გუდიშვილის 5/7
E-mail: gkiladze@nplg.gov.ge

რეცენზენტები:

გ. ყურაშვილი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: g.kurashvili@gtu.ge

ა. კობიაშვილი, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: a.kobiashvili@gtu.ge

ანოტაცია. დღევანდელ სამყაროში, სადაც ტექნოლოგია წარმოუდგენელი ტემპით ვითარდება, განათლება თავის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას განიცდის. ეს ნაშრომი ყურადღებას ამახვილებს საგანმანათლებლო პლატფორმების მომავალ თაობებზე, რომლებიც განასახიერებს ციფრული სწავლების ინსტრუმენტების ევოლუციას. გლობალიზაციისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ეპოქაში განათლების ტრადიციული მეთოდები ადგილს უთმობს ინოვაციურ მიდგომებს, გთავაზობს უფრო მოქნილ, ინტერაქტიულ და პერსონალურ საგანმანათლებლო გამოცდილებას.

ნაშრომი იკვლევს ციფრული საგანმანათლებლო პლატფორმების ევოლუციას, ხაზს უსვამს მათ როლს თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესის ტრანსფორმაციაში. ავტორები აანალიზებენ თუ როგორ უწყობს ხელს ახალი ტექნოლოგიები, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი, ინტერაქტიული მულტიმედიური ინსტრუმენტები სწავლისადმი ინდივიდუალური და მოქნილი მიდგომის შემუშავებას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ისეთ ასპექტებს, როგორიცაა სწავლისადმი პერსონალური მიდგომა, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობა და მასშტაბურობა, აგრეთვე მათი უწყვეტი განათლებისა და პროფესიული უნარების განვითარების უზრუნველყოფა.

ამ ნაშრომის მიზანია თანამედროვე საგანმანათლებლო პლატფორმების ძირითადი მახასიათებლებისა და უპირატესობების შესწავლა. სწავლისადმი პერსონალური მიდგომიდან დაწყებული უკანასკნელ ტექნოლოგიურ მიღწევებამდე ინტეგრაციისას, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი, ეს პლატფორმები ახორციელებს სწავლების ტრადიციული მეთოდების გადახედვას, გადახალისებას, და სკოლის მოსწავლეებს, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებსა და პედაგოგებს აწვდის ახალ ინსტრუმენტებს საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია პანდემიის პერიოდზე, როცა სოციალური დისტანციის შენარჩუნების აუცილებლობის გამო, ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება დისტანციურ სწავლებაზე გადავიდა. ნაშრომში მოცემულია საგანმანათლებლო დაწესებულებების ახალ რეალობასთან წარმატებით ადაპტირებისთვის აუცილებელი პრინციპები და მათი დაცვის აუცილებლობა. ასევე წარმოდგენილია საბიბლიოთეკო ციფრული ტრანსფორმაციის შესაძლებლობები.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული პლატფორმების როლს საგანმანათლებლო სისტემის მართვის სრულყოფაში, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესზე. ნაშრომში დასაბუთებულია ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული პლატფორმების მრავალმხრივი სარგებელი საგანმანათლებლო სისტემისათვის და აღწერილია, თუ როგორ შეუძლიათ მათ ხელი შეუწყონ მართვის პროცესების სრულყოფას.

საკვანძო სიტყვები: გლობალური სწავლება; დისტანციური განათლება; ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული პლატფორმები; ინტერაქტიული სწავლება; კრიტიკული აზროვნება; მოტივაცია სწავლებაში; მულტიკულტურული განათლება; პერსონალური სწავლება საგანმანათლებლო ინოვაცია; საგანმანათლებლო პლატფორმები; უწყვეტი განათლება; ციფრული ტექნოლოგიები განათლებაში; ხელოვნური ინტელექტი სწავლებაში.

შესავალი

სწავლების ტრადიციული მეთოდებიდან უკანასკნელ ტექნოლოგიურ მიღწევამდე ტრანსფორმაციისას საგანმანათლებლო პროცესში მონაწილე მოსწავლეების, სტუდენტებისა და პედაგოგებისათვის საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად გამოიყენება ახალი ინსტრუმენტები.

ისტორიული კონტექსტი: ადრეული კომპიუტერული საგანმანათლებლო პროგრამებიდან დღევანდელ ინტერაქტიულ ონლაინკურსებამდე, ციფრული ტექნოლოგიები ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ განათლებაში. ინტერნეტის განვითარებისა და ტექნოლოგიისადმი ხელმისაწვდომობის შედეგად, ეს როლი კიდევ გაიზარდა.

სწავლების ინდივიდუალურობა: თანამედროვე პლატფორმები გთავაზობს უნიკალურ შესაძლებლობებს საგანმანათლებლო პროცესის ადაპტირებისათვის თითოეული მოსწავლის, სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებებისადმი. ხელოვნური ინტელექტის გამოყენება მოსწავლისა და სტუდენტის სწავლების სტილისა და ტემპის გასაანალიზებლად პერსონალური სასწავლო გეგმების შედგენის საშუალებას იძლევა.

ინტერაქტიულობა: სასწავლო პლატფორმები აერთიანებს თამაშების ელემენტებსა და ინტერაქტიულობას სტუდენტის ჩართულობისა და მოტივაციის გასაზრდელად. ეს შეიძლება მოიცავდეს ვირტუალური რეალობის გამოყენებას სწავლებისათვის, სასწავლო მოდულებსა და ინტერაქტიულ დავალებებს.

ხელმისაწვდომობა და მასშტაბურობა: ციფრული საგანმანათლებლო პლატფორმები სწავლას უფრო ხელმისაწვდომს ხდის, რაც საშუალებას აძლევს ადამიანს მთელი მსოფლიოს მასშტაბით მიიღოს ხარისხიანი განათლება ონლაინ. ეს ასევე აადვილებს საგანმანათლებლო პროგრამების მასშტაბურობას დიდი რაოდენობით სტუდენტების მომსახურებისთვის.

უწყვეტი სწავლება და უნარების განვითარება: თანამედროვე პლატფორმები ხაზს უსვამს უწყვეტი სწავლებისა და უნარების მუდმივი განვითარების მნიშვნელობას. ისინი გვთავაზობენ კურსებსა და რესურსებს პროფესიონალური განვითარებისთვის, ეხმარებიან რა ადამიანებს კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებაში სწრაფად ცვალებად სამყაროში.

თანამშრომლობა და კავშირები: ახალი თაობის საგანმანათლებლო პლატფორმები ფოკუსირებულია ისეთი კავშირების შექმნაზე, სადაც მოსწავლეებს, სტუდენტებს და პედაგოგებს შეუძლიათ ურთიერთქმედება, თანამშრომლობა და ცოდნის გაზიარება. ფორუმები, ჯგუფური ჩათები და ერთობლივი პროექტები ხელს უწყობს სასწავლო პროცესში ღრმად ჩართვას.

ანალიტიკა და ანგარიშგება: თანამედროვე პლატფორმები უზრუნველყოფს ფართო მონაცემებს სტუდენტის მოსწრებისა და პროგრესის შესახებ, რაც საშუალებას აძლევს როგორც სტუდენტს, ისე მასწავლებელს უკეთ გაიგოს სასწავლო პროცესის ეფექტიანობა და შეიტანოს აუცილებელი კორექტივები.

მომავლის ხედვა: საგანმანათლებლო პლატფორმები განაგრძობს განვითარებას უახლესი ტექნოლოგიების ინტეგრირებით, როგორიცაა გაღრმავებული სწავლება, გაუმჯობესებული ანალიზი და კვანტური გამოთვლის ელემენტები, პერსონალური და ეფექტური სწავლებისათვის.

მულტიკულტურული და გლობალური სწავლება: თანამედროვე პლატფორმები საშუალებას აძლევს სხვადასხვა ქვეყნისა და კულტურის სტუდენტებს ერთად ისწავლონ, ხელი შეუწყონ იდეებისა და მსოფლმხედველობების გაცვლას, რაც ამდიდრებს საგანმანათლებლო პროცესს.

განათლების მრავალფეროვნება: ციფრული ტექნოლოგიის წყალობით, ხელმისაწვდომია კურსებისა

და მასალების დიდი რაოდენობა ნებისმიერ თემაზე, აკადემიური საგნებიდან დაწყებული დაბალი სპეციალობით დამთავრებული.

სოციალურ ქსელებთან ინტეგრაცია: ბევრი პლატფორმა იყენებს სოციალურ ქსელებს სასწავლო კავშირების შესაქმნელად, მოსწავლეებს შორის ურთიერთობისა და ცოდნის გაცვლის გასამარტივებლად.

ტექნოლოგიების გამოყენება: სერვისები ამარტივებს საგანმანათლებლო მასალების შენახვას და წვდომას, ასევე უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პლატფორმების გამართულ მუშაობას.

ეკოლოგიური მიდგომა: ციფრული სწავლება ამცირებს ბეჭდური მასალების გამოყენებას, რაც დადებითად აისახება გარემოზე.

კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარება: თანამედროვე საგანმანათლებლო პლატფორმები აქცენტს აკეთებენ მოსწავლეებისა და სტუდენტების ანალიტიკური და კრიტიკული უნარების განვითარებაზე ამოცანებისა და პროექტების საშუალებით.

უწყვეტი სწავლების მხარდაჭერა: საბიბლიოთეკო პლატფორმები უზრუნველყოფს მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლების შესაძლებლობებს, ხელს უწყობს პროფესიულ განვითარებას და პიროვნულ ზრდას.

ინტეგრაცია კორპორაციულ სწავლებასთან: ბევრი პლატფორმა გვთავაზობს კურსებსა და პროგრამებს, რომლებიც სპეციალურად შემუშავებულია ბიზნესის საჭიროებებისთვის, რაც ხელს უწყობს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას.

წვდომა ექსპერტულ ცოდნაზე: ციფრული პლატფორმები საშუალებას აძლევს სტუდენტებს ურთიერთობა ჰქონდეთ მსოფლიოს წამყვან ექსპერტებთან და პედაგოგებთან, რაც ადრე პრაქტიკულად მიუწვდომელი იყო.

მონაცემებზე დაფუძნებული ადაპტური სწავლება: სისტემები, რომლებიც აანალიზებს სტუდენტის მონაცემებს მოსწრების შესახებ, მოახდინოს სასწავლო პროცესის ადაპტაცია რეალურ დროსთან, გაზარდოს მისი ეფექტიანობა.

ძირითადი ნაწილი

თანამედროვე საგანმანათლებლო ციფრული საბიბლიოთეკო პლატფორმები მნიშვნელოვან როლს ასრულებს განათლების მომავლის ჩამოყალიბებაში. ისინი გვთავაზობენ მოქნილ და ინოვაციურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც აკმაყოფილებს დღევანდელი საზოგადოებისა და ეკონომიკის მოთხოვნებს, ხაზს უსვამს უწყვეტი სწავლებისა და ადაპტაციის მნიშვნელობას მუდმივად ცვალებად სამყაროში.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ ამ პლატფორმების დანერგვა და წარმატებით გამოყენება მოითხოვს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ ძალისხმევას, არამედ საგანმანათლებლო კულტურის ცვლილებებს, ცვლილებებს სწავლების მეთოდებსა და სწავლის მიდგომებში. ეს თავის თავში აერთიანებს ცოდნის მუდმივად განახლების სურვილს, ახალ ინსტრუმენტებსა და ტექნოლოგიებთან ადაპტირებას და მოსწავლისა და სტუდენტის კრიტიკული აზროვნებისა და დამოუკიდებელი სწავლის უნარების განვითარებას.

მომავალში შეგვიძლია ველოდოთ ამ პლატფორმების განვითარებას და გაუმჯობესებას, რაც ხელს შეუწყობს კიდევ უფრო ეფექტური და ინტეგრირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნას. ახალი თაობის საგანმანათლებლო პლატფორმებმა უკვე შეცვალა სწავლების ხედვა და მათი გავლენა მხოლოდ გაიზრდება, რაც გახსნის ახალ შსაძლებლობებს სწავლებისა და განვითარებისათვის.

აუცილებელია აღვნიშნოთ COVID-19-ის გავლენა საგანმანათლებლო სფეროზე, რომელმაც რადიკალურად შეცვალა იგი. პანდემიის დაწყებისთანავე, სოციალური დისტანციის შენარჩუნების აუცილებლობის გამო, ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება დისტანციურ სწავლებაზე გადავიდა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ოცნებობდა საკლასო ოთახებში დაბრუნებაზე, ეს იყო გრძელი გზა ჩვეულებრივი სასწავლო პროცესის განახლებისკენ.

ეს გადასვლა მოითხოვდა გადამწყვეტ მოქმედებას და სწრაფ ადაპტაციას ყველა დონეზე - ოჯახიდან მთავრობამდე - მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. სპეციალისტებმა შეიმუშავეს მრავალი კონცეფცია ახალ სასწავლო ფორმატებზე სწრაფი გადასვლისთვის, მაგრამ არცერთი მათგანი არ განხორციელებულა ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე. საგანმანათლებლო დაწესებულებების ახალ რეალობასთან წარმატებით ადაპტირებისთვის აუცილებელია რამდენიმე პრინციპის დაცვა:

- „ციფრული უთანასწორობის“ აღმოფხვრა, მოსწავლისა და სტუდენტის უზრუნველყოფა საჭირო ტექნიკით;
- მოსწავლისა და სტუდენტისათვის სწავლებისა და ურთიერთობის ახალი შესაძლებლობების უზრუნველყოფა;
- მოსწავლის, სტუდენტისა და პერსონალის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მონიტორინგი;
- მოსწავლის, სტუდენტისა და მასწავლებლის ემოციური მდგომარეობის თვალყურის დევნება;
- ურთიერთობის ახალი კულტურის შექმნა, სადაც მოსწავლესა და სტუდენტს მეტი შესაძლებლობა აქვთ ურთიერთობისა და განავითარებისათვის.

ვირტუალური ფორმატი უნდა გაფართოვდეს და გაზარდოს შესაძლებლობები, რომლებიც ხელმისაწვდომი იყო პირისპირ განათლების დროს სკოლებსა და უნივერსიტეტებში. ციფრული პლატფორმები შეიძლება გახდეს გადასვლის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი. ციფრული პლატფორმა არის სპეციალური საინფორმაციო გარემო, რომლის საფუძველზეც იქმნება ურთიერთქმედი სუბიექტების ეკოსისტემა. არსებობს მრავალი ციფრული პლატფორმა სხვადასხვა ტიპის საქმიანობისთვის და მულტიდისციპლინური პლატფორმები.

თანამედროვე კიბერფიზიკური ციფრული პლატფორმები საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ ეს მიდგომა სწავლების ყველა ეტაპზე. პირველ რიგში, ეს პლატფორმები უზრუნველყოფს მუდმივ წვდომას ცოდნის ბაზებზე. რაც უწყვეტი სწავლების გარანტიაა. მეორე, ვებაპლიკაციის საშუალებით წვდომის შესაძლებლობის წყალობით, მოსწავლესა და სტუდენტს სჭირდება არა სპეციალური და ძვირი გაჯეტები, არამედ მხოლოდ ინტერნეტზე წვდომა, რაც ხელს უწყობს „ციფრული უთანასწორობის“ შემცირებას და მთლიანად აღმოფხვრას. გარდა ამისა, ციფრული პლატფორმები უზრუნველყოფს მომხმარებელთა დიდი რაოდენობის ერთდროულ კავშირს, რაც მასწავლებელს, მოსწავლესა და სტუდენტს ურთიერთობის ახალ ფორმატებს აწვდის. მესამე, სტუდენტებს შეუძლიათ იმუშაონ ერთობლივ პროექტზე და გამოიმუშაონ მოწინავე უნარები და კომპეტენციები. მეოთხე, პროფესიული უნარების დაუფლების გარდა, ისინი აუმჯობესებენ ინტერდისციპლი-

ნურ წიგნიერებას (მდგრადი განვითარების პრინციპები, სოციალური ურთიერთქმედება, ვირტუალური ტყუპები) და პირად უნარებს (ურთიერთქმედება, ინოვაცია, სისტემების აზროვნება, კრიტიკული აზროვნება, კრეატიულობა).

ციფრული პლატფორმებით შესაძლებელია:

- სწავლების მთლიანად გადაყვანა ციფრულ გარემოში ხარისხის დაკარგვის გარეშე ვებაპლიკაციის საშუალებით, სადაც წვდომა აქვს ინტერნეტკავშირს;
- სრულ განაკვეთზე და ნახევარ განაკვეთზე პროგრამების ერთ სტანდარტამდე მიტანა ხარისხისა და ზედმეტი დროის ხარჯების დაკარგვის გარეშე;
- პროდუქტის ნიმუშების შექმნა და გადამოწმება ვირტუალურ გარემოში;
- სოციალური დისტანციისა და უსაფრთხოების შენაჩუნება პირადი და არა საჯარო კომპიუტერების გამოყენებით.
- სოციალური ურთიერთქმედების გაუმჯობესება ონლაინთანამშრომლობის უნარების განვითარებით;
- მყისი გამოხმაურების მიღება სტუდენტებისგან.

ციფრული პლატფორმების ბაზარი პანდემიამდეც აქტიურად ვითარდებოდა, მაგრამ ახალ პირობებთან ადაპტაციის აუცილებლობამ ეს პროცესი დააჩქარა. სახელმწიფო პროექტის – „ციფრული საგანმანათლებლო გარემოს“ – ფარგლებში ახალი გადაწყვეტილებებისა და სისტემების შემუშავების გარდა, უნივერსიტეტები აქტიურად თანამშრომლობენ დეველოპერულ კომპანიებთან, რომლებიც მზად არიან მათ პროფესიული მომზადებისთვის საჭირო ინსტრუმენტები მიაწოდონ. პლატფორმის არჩევანი, პირველ რიგში, განპირობებულია საგანმანათლებლო დაწესებულების პროფილით – ზოგადი განათლების დისციპლინებს, საუკეთესოდ შეეფერება ფართო პროფილის პლატფორმები და სპეციალისტების მომზადებაში ჩართულ ინსტიტუტებს – პლატფორმები, რომლებშიც ინტეგრირებულია სპეციალიზებული გადაწყვეტილებები და პროგრამული უზრუნველყოფა.

ონლაინსწავლებაზე გადასვლა სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით განსაკუთრებით აქტუალურია ტექნიკური უნივერსიტეტებისა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, რომლებიც იყენებენ სპეციალურ პროგრამებს. Zoom-ისა და სხვა ონლაინკონფერენციის პროგრამების საშუალებით სწავლებისას, სასწავლო პროცესი ცალმხრივი ხდება, რაც ართულებს როგორც სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღებას, ისე მასწავლებლების რჩევებს სამუშაოს შესრულებისას. ციფრული პლატფორმები ამ მინუსს ამცირებენ მრავალი მომხმარებლის მიერ პროდუქციის პროტოტიპისა და რთული მახასიათებლების ნახვის საშუალებით – ნახაზები. გრაფიკები, განლაგებები და პროდუქტის დიზაინი და ტესტების ჩატარება რეალურ დროში, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს გაუზიაროს სხვა სტუდენტს და მასწავლებელს მომზადების პროცესში მიღებული ცოდნა და ნოუ-ჰაუ. ამავე დროს, არსებობს სპეციალური ლიცენზირების გეგმები და სასწავლო პროგრამები, რომლებიც უნივერსიტეტებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ ციფრული ინსტრუმენტები და თანამედროვე საინჟინრო მიდგომები მომავალი ინჟინრის მოსამზადებლად.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული პლატფორმების როლი საგანმანათლებლო სისტემის მართვის სრულყოფაში, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესზე. დღეს, როცა განათლება მუდმივ ცვლილებებს განიცდის, ციფრული ტექნოლოგიები ყოველდღიურად უფრო მეტად დომინირებს, ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული რესურსები კი ფასდაუდებელი ინსტრუმენტია ცოდნის გავრცელებისა და ახალი სწავლების მეთოდების განვითარებისათვის.

ციფრული ბიბლიოთეკის მნიშვნელობა. ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული პლატფორმები, როგორიცაა ონლაინკატალოგები, არქივები და საგანმანათლებლო პორტალები, აადვილებს როგორც სტუდენტისთვის, ისე მასწავლებლისთვის მრავალფეროვანი და ხარისხიანი მასალების ხელმისაწვდომობას. სხვადასხვა პერიოდისა და მიმართულების რესურსები, რომლებიც აქ თავმოყრილია, ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესის გამდიდრებას, ინტერდისციპლინური კვლევების გაღრმავებას და თვითგანათლების ხელშეწყობას.

ინოვაციები და სწავლების ხელშეწყობა. ციფრული პლატფორმები უზრუნველყოფს უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებას, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებელს და ლექტორს შექმნას უფრო ინტერაქტიული და ეფექტური სასწავლო მასალა. ეს არა მხოლოდ ცოდნის გადაცემის პროცესს ხდის მრავალფეროვანს, არამედ ზრდის სტუდენტების მოტივაციას და სწავლების ხარისხს.

მართვის პროცესის სრულყოფა: საგანმანათლებლო სისტემის მართვაში ციფრული პლატფორმების ინტეგრაცია ამარტივებს ადმინისტრაციულ საქმეებს, მონაცემების მართვას და სტატისტიკურ ანალიზს. ბიბლიოთეკის ციფრული მონაცემების მუდმივად განახლება და ხელმისაწვდომობა ეხმარება პოლიტიკის შემქმნელებს და განათლების სპეციალისტებს უკეთ დაგეგმონ რესურსების გამოყენება და გააუმჯობესონ სწავლის პროცესი.

დისტანციური სწავლება და ხელმისაწვდომობა: განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეროვნული ბიბლიოთეკის როლი დისტანციური სწავლების ხელშეწყობაში. ციფრული პლატფორმები საშუალებას აძლევს სტუდენტს, განსაკუთრებით იმ რეგიონებში მცხოვრებს, რომლებსაც რთული წვდომა აქვთ ფიზიკურ რესურსებზე, მიიღონ განათლების თანაბარი შესაძლებლობები.

მომავლის პერსპექტივა: მომავალში ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული პლატფორმები კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდება, რადგან ისინი ახალ შესაძლებლობებს ქმნიან ინოვაციური ტექნოლოგიების ინტეგრაციით. განათლების პოლიტიკის შემქმნელებმა უნდა განაგრძონ ინვესტიციები ციფრული პლატფორმების განვითარებაში, რათა არ ჩამორჩნენ გლობალურ სტანდარტებს და გააუმჯობესონ ცოდნის გავრცელების სისტემა

დასკვნა

2020-მა წელმა კაცობრიობის ცხოვრება დაყო -მდე და შემდეგ პერიოდად, რამაც აჩვენა საზოგადოების მრავალი სფეროს გაციფრულების საჭიროება და ახალი სამუშაო ძალის მომზადების პრობლემა კიდევ უფრო აქტუალური გახადა. მსოფლიო ახალი ეპოქის ზღვარზეა, რომელშიც ინოვაციური ტექნოლოგიები,

ციფრული გადაწყვეტილებები და ნოვატორული აღმოჩენები გახდება ქვაკუთხედი მთელი საზოგადოების მდგრადი განვითარებისთვის, ხოლო ციფრული პლატფორმები გახდება საიმედო თანაშემწეები ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტში – ახალი თაობებისათვის ცოდნის გადაცემასა და ახალგაზრდა ინოვატორების შემოქმედებითი პოტენციალის აღმოჩენაში.

ნაშრომის სტრუქტურა ხაზს უსვამს ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული პლატფორმების მრავალმხრივ სარგებელს საგანმანათლებლო სისტემაში - თუ როგორ შეუძლია მათ ხელი შეუწყონ მართვის პროცესების სრულყოფას.

ლიტერატურა

1. Gruzdeva, M. Feofanova, T. (2022). Possibilities of Using Digital Platforms in Education. Retrieved from: https://toptechnologies.ru/ru/article/view?id=39208
2. Kulakhmetova, M. (2021). How Digital Platforms Are Transforming the Education System.Retrieved from: https://www.iksmedia.ru/articles/5854891-Kak-cifrovye-platformy-transformiru.html.
3. Haleem, A., Javaid, M.,Mohd Qadri, A., & Suman, R. (2022). Understanding the role of digital technologies in education: A review. Sustainable Operations and Computers 3(4), pp. 275-285. Retrieved from: https://doi.org/10.1016/j.susoc.2022.05.004 -დან
4. Aresta, M., Pedro, L., & Santos, C. (2015). Mobile Learning and Higher Education: A Theoretical Overview. Mobile Multimedia 11(1), 147-156.
5. Beardsley, M., Albó, L., Aragón, P., & Hernández-Leo, D. (2021). Emergency education effects on teacher abilities and motivation to use digital technologies. British Journal of Educational Technology "BERA", N52(4), 1455-1477.
6. Camilleri, M., Camilleri, A. (2017). Digital learning resources and ubiquitous technologies in education. Technology, Knowledge and Learning, N 22 (1), 65-82.
7. Yadav, N. (2024). The Impact of Digital Learning on Education ISSN: 2584-0231(Online) International Journal of Multidisciplinary Research in Arts, Science and Technology ©. IJMRAST | Vol. 2 | Issue 1 | January 2024 Available online at: https://ijmrast.com. doi:DOI: https://doi.org/10.61778/ijmrast.v2i1.34 IJMRAST | Received: 20 January 2024 | Accepted: 28 January 2024 | Published: 30 January 2024 (24)
8. Henderson, M., Selwyn, N., & Aston, R. (2015). What works and why? Student perceptions of 'useful' digital technology in university teaching and learning. Taylor & Francis, Stud. High. N 42, 1567–1579.
9. Pacansky-Brock, M. (2017). Best Practices for Teaching with Emerging Technologies. 2nd edition. Best Practices in Online Teaching and Learning.

UDC 02
SCOPUS CODE 3304
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-1-376-385

The Role of Digital Library Platforms in Improving the Management of the Educational

Rusudan Kutateladze Department of Tourism and Marketing, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: r.kutadeladze@gtu.ge

Tamar Rostiashvili Department of Business Administration, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: t.rostiashvili@gtu.ge

Maya Soselia Department of Business Administration, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: soseliamaia11@gtu.ge

Giorgi Kiladze National Parliamentary Library of Georgia Deputy Director of the science, culture and civic education department, Georgia, 0108, Tbilisi, 5/7, l. Gudiashvili
E-mail: gkiladze@nplg.gov.ge

Reviewers:

G. Kurashvili, professor, faculty of business technology, GTU
E-mail: g.kurashvili@gtu.ge

A. Kobiashvili, professor, faculty of informatics and control systems, GTU
E-mail: a.kobiashvili@gtu.ge

Abstract. The paper examines the evolution of digital educational platforms, emphasizing their role in the transformation of the modern educational process. The authors analyze how new technologies, such as artificial intelligence, interactive multimedia tools, contribute to the development of an individual and flexible approach to learning. Particular attention is paid to such aspects as a personal approach to learning, accessibility and scalability of educational programs, as well as ensuring their continuous education and development of professional skills

In today's world, where technology is developing at an incredible pace, education is undergoing one of the most significant transformations in its history. This paper focuses on future generations of educational platforms that embody the evolution of digital learning tools. In the era of globalization and information technology, traditional methods of education are giving way to innovative approaches, offering you a more flexible, interactive and personalized educational experience.

The purpose of this paper is to study the main features and advantages of modern educational platforms. From a personalized approach to learning to the integration of the latest technological advances, such as artificial

intelligence, these platforms are reimagining traditional teaching methods, reinventing them, and providing school students, higher education students, and educators with new tools to achieve educational goals.

The paper focuses on the period of the pandemic, when due to the need to maintain social distance, all educational institutions switched to distance learning. The paper presents the principles necessary for successful adaptation of educational institutions to the new reality and the necessity of their protection. The possibilities of library digital transformation are also presented.

Special attention is paid to the role of digital platforms of the National Library in improving the management of the educational system, which has a significant impact on the modern educational process. The paper substantiates the multifaceted benefits of digital platforms of the National Library for the educational system and describes how they can contribute to the improvement of management processes.

Keywords: artificial intelligence in teaching; continuous education; critical thinking; digital platforms of the National Library; digital technologies in education; distance education; educational innovation; educational platforms; global learning, motivation in teaching; interactive learning; multicultural education; personal learning.

განხილვის თარიღი 12.11.2024
შემოსვლის თარიღი 04.12.2024
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.03.2025